კვირა, 1918 წ. აგვისტოს 18 № 150
ფოლიფადი მეორე

კვირა, 1918 წ. აგვისტოს 18 № 150
ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

# მოქალაქენო ხმა მიეცით № 2

ალექსანდრე დავითისძე თორაძე, მატრონა მოსეს ასული ცქიტიშვილი, სერგო მანუჩარისძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ პირველი მეუღლის და მეორენი საყვარელი შვილის

**მარუსია თორაძის**

გარდაცვალებას სოფ. ცემში. გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე ფურცლები იქნება გამოცხადებული.

ქვრივი ალექსანდრა ლუკას ასული კუხიანიძისა, ივანე კუხიანიძე, ალექსი, სარდიონ, ბათლომე, კოსტა და მელიტონ მეუღლეებითურთ კუხიანიძეები, მინადორა ივანეს ასული ხადელიასა. ლუკა ბიჭიას ძე და მეუღლე მისი გუბელაძეები, რაჟდენ და მეუღლე მისი ვერა გუბელაძეები, აკვირინა, მარუსია და თინა გუბელაძეები, სიმონ პეტრეს ძე და მეუღლე მისი ნინო სვანაძეები, სოლომონ პავლეს ძე გუბელაძე, გულითა დის მწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორე დაუვიწყარი შვილისა, მესამენი და მეოთხე ძმისა მეხუთენი და მეექვსენი სიძისა მეშვიდენი ცოლიძმისა, მერვენი ქვისლისა ხოლო უკანასკნელი სიძისას

**ლუკა ივანეს ძე კუხიანიძისას**

უმორჩილესად გთხოვთ რათა პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე თავის საკუთარი სახლიდან ოლასკურის სასაფლაოზე 18 აგვისტოს (5 აგვისტოს ძველი სტილით) დღით კვირას ნაშვადღევის 4 საათზე ორპირის ქუჩაზე საკუთარი სახლი და მობძანებითა თქვენითა ანუგეშოთ მწუხარებასა შინა მყოფი ჭირისუფალი მისი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე 2—2

გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, ვინც პატივი მცა და მანუგეშა: სიტყვიერათ, წერილობით ან პირადი დასწრებით დაუვიწყარ მეუღლის

**დავით ვასილის ძე გლუშაკოვის**

გარდაცვალების გამო.
ქვრივი სოფიო დიმიტრის ასული გლუშაკოვისა. 1—1

უბედური დედა გულჩინა გრიგოლ ერისთვის ასული ნიჟარაძისა და დაი კეკელა ანტონ ნიჟარაძის ასული აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 18 აგვისტოს (ახალი სტილით) დილის 11 საათზე გადახდილ იქნება საფიჩხიის ეკლესიაზე ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი (ტიტიკო) ანტონის ძის ნიჟარაძის**

სულის მოსახსენებლათ 2—2

## სია № 2

**საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საერობო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე — ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე — გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე — საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე — პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე — ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე — საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** აროს იაკობის ძე — კომერსანტი.
9. **პურადაშვილი** ივანე ისააკის ძე — აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე — ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე — კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ მერაბის ძე — მღებავი.

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განცხადება.

დამატებათ 25 ივლისის განცხადებისა, ხპილენძის აღრიცხვის შესახებ, ცხადდება ყველა საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთ საყურადღებოთ, რომელთაც მოეპოვებათ საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი მასალები:

**შავი ლითონები:**

| | | |
|---|---|---|
| თუჯი ნაჭრობრივი — — — — | 100 | ფუთზე მეტი |
| რელსი ყველა ზომისა — — — — | 100 | — — |
| რკინის კოჭები სიმაღლით არა ნაკლებ 10 სანტიმ | 100 | — — |
| რკინა ხარისხოვანი, ფურცლებათ და სახურავი | 50 | — — |
| სარესორო ფოლადი — — — — | 10 | — — |
| ლურსმანი ყველა ზომისა — — — | 50 | — — |

**წითელი და თეთრი ლითონები.**

| | | |
|---|---|---|
| თეთბერი — — — — — | 10 | ფუთზე მეტი |
| ბრეჟენი (ტყვია) — — — — | 10 | — — |
| კალა — — — — — — | 5 | — |
| თუთი — — — — — — | 10 | |

და კიდევ

| | | |
|---|---|---|
| კაუსტიური სოდა — — — | 25 | ფუთზე მეტი |
| ცემენტი — — — — — | 100 | — — |
| გოგირდის სიმჟავე (თეზაფი) — — — | 10 | — — |

რომ მათ წარმოადგინონ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში (ჭავჭავაძის ქუჩა 2) ცნობები შესახებ ზემო აღნიშნულ საქონელთა რაოდენობისა და საწყობის მდებარეობისა მათი პატრონთა გვარის აღნიშვნით.

თუ ვისმეს ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმოაჩნდება სადმე რომელიმე ზემოაღნიშნული მასალა, რომელიც არ იყო წარმოდგენილი აღრიცხვისათვის, მასალა სახელმწიფოს სასარგებლოთ ჩამორთმეული იქნება, შეფასების ღირებულების ნახევარ ფასში, მათი პატრონნი კი სამართალში იქნებიან მიცემული 29 მუხლის სას. წეს. ძალით.

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური—კიდევ არჩევნები
სოციალისტები და საქართველო.
ფელეტონი: კ. კაპანელი ჭანტურაია—ეროვნული სული.

**ცნობები.**

რუსეთის ამბები რედაქციის მიერ პეტროგრადელი გაზეთებიდან. უკანასკნელი ცნობები. სად იმყოფებიან ჩვენი დელეგატები? კავკავი ყაზახებმა აიღეს და სხვა

---

### ქუთაისი 18 აგვისტო.

**კიდევ არჩევნები.** ჩვენში რომ არჩევნები წესიერათ არ სწარმოებს ეს ყველასათვის ცხადია, არა ერთხელ და ორჯერ აგვინიშნავს, რომ არჩევნების დროს ისეთ გამოსვლებს და შემთხვევებს აქვს ადგილი, რომელიც არჩევნებში თანასწორობასაც აფერხებს და სამართლიანობასაც არღვევს და ამით, რა თქმა უნდა, თავისუფლებაც შელახულია:

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენში რამდენიმე არჩევნები მოხდა, როგორც სოფლად ისე ქალაქებში და ყოველთვის აღნიშნული იყო ესა თუ ის უკანონობა და სხვადასხვა გვარი უწესოება; სხვათაშორის ხაზ გასმით აღსანიშნავი იყო მთავრობის პოზიცია- წესიერათ მოწყობილ სახელმწიფოში მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს ამა თუ იმ საზოგადო არჩევნებს, თვითონ ნეიტრალურ ადგილს იჭერს და არც ერთ მომქმედ პარტიის კერძოობას არ უწევს. განათლებულ და კულტურულათ მოწყობილ ქვეყანაში ხალხი ცხადათ ხედავს, რომ მთავრობა თავის ძალ-ღონეს არც ერთ პარტიას ზედმეტათ არ ახმარს და ამით მეორე მხარეს არა სჩაგრავს. ეს რა თქმა უნდა ასეც უნდა იყოს. რადგან მთავრობა სახელმწიფოში ყოველთვის საერთო ორგანოა და მთავრობის ძალა და ავტორიტეტი ყველა მოქალაქეებს საერთოთ ეკუთვნის და არა რომელიმეს ცალკე. მთავრობაში ყოველთვის შესაძლებელია პარტიის წევრი იქნეს, მას თავისი პოლიტიკური რწმენა ექნეს და მთავრობაში შესვლის შემდეგაც იმ რწმენისა და მიმართულების დარჩეს თავის კერძო მოქალაქეობრივ ცხოვრებაში, მაგრამ როგორც მთავრობის წარმომადგენელი ის უკვე პარტიის საკუთრებას აღარ შეადგენს და თავის ძალას, რომელსაც მთავრობის მდგომარეობა აკუთვნებს, პარტიას ვერ მოახმარს. თუ ასე არ მოიქცა და მთავრობის პირმა რომელიმე პარტიას ზედმეტათ თავისი ძალა მიაკუთვნა, ის უკვე მთავრობის დანიშნულებას არღვევს და ამცირებს.

ჩვენში სამწუხაროთ მთავრობამ ვერ დაიკავა შესაფერი პოზიცია. მთელი წლის განმავლობაში არჩევნების დროს ვხედავდით, რომ მთავრობის ავტომობილები, ეტლები, მილიცია, ხელს უწყობდა იმ პარტიას, რომლის წარმომადგენლებიც თვითონ იყო, იმ პარტიას, რომლის ბანაკიდანაც ის იყო გამოსული. ასე იყო სოფლად და ასე იყო ქალაქებში. მთავრობის ავტომობილები და ეტლები არ ერთი პარტიის რეკლამებს და განცხადებებს არ უნდა ატარებდეს და თუ დაატარებს ყველასი უნდა დაატაროს და არა ერთი რომელიმე პარტიის. როცა მთავრობის ძალა ერთი პარტიისკენ არის გადახრილი, რა თქმა უნდა, ამას არჩევნებზე დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ხალხი აქ უსამართლობას გრძნობს და მთავრობა თუმცა კენჭებით ერთ პარტიას გამარჯვებას აკუთნებს, მაგრამ ზნეობრივათ საქმეს აგებს. შარშან ხალხი აშკარათ ხედავდა რა განსაკუთრებულ პირობებში მოქმედობდა გამეფებული პარტიის მეთაურები და რა შთაბეჭდილების მოსახდენი გარეგნობით აწყობდენ ისინი თავის არჩევნებს, მაგრამ გულში ხალხი იმასაც ნიშნავდა, რომ მთავრობა უსამართლოთ იქცეოდა, ამჩნევდა ამას და ეს მის გულში ცუდ ნაწურს სტოვებდა.

ამ შემთხვევაში მთავრობას დიდი სიფრთხილე უმართებდა. მთავრობა კი უტაქტოთ იქცეოდა. სოფლებში კიდევ შეიძლება ვსთქვათ, რომ კომიტეტებმა ვერ დაიცვეს მიუდგომლობა, და როგორც გამოუცდელმა და პოლიტიკურათ მოუმზადებელმა პირებმა ობიექტივობა ვერ მოახერხეს, მაგრამ ქალაქებში აუცილებელი იყო მთავრობას ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა და მთელი საზოგადოებისთვის თავისი მიუდგომლობა და პარტიის გარეშე დგომა დაენახვებინა. სამწუხაროთ დღევანდელ მთავრობაზე ხალხმა უკვე შეადგინა ასეთი შეხედულება, რომ იგი პარტიულია, სამსახურშიც ერთი პარტიის წევრებს აძლევს უპირატესობას, მართვაგამგეობასაც ერთ პარტიის წარმომადგენელთ ანდობს და არჩევნებშიდაც ამას ემხრობა. ასეთი შეხედულება მთავრობაზე თვით მთავრობისთვის მავნებელი და დამამცირებელია. რამდენათაც მთავრობამ მასალა მისცა ხალხს თავისი მოქმედებით ასეთი შეხედულების შესადგენათ, იმდენათ მთავრობა დამნაშავეა თავისი ავტორიტეტის შებღალვაში და ნიადაგის დასუსტებაში.

მთავრობაში შესაძლებელია იყოს **პარტიული კაცი**, მაგრამ თვით **მთავრობა არ შეიძლება იქნეს პარტიული**. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ჩვენში მოხდა და კარგი შედეგი ამას არც მოყოლია.

ვნახოთ დღეს რა პოზიციას დაადგება მთავრობა, გაასწორებს შარშანდელ შეცდომას თუ ისევ შემცდარი გზით განაგრძობს მოქმედებას? დღეს არჩევნებია მთელ ქუთაისის რაიონში და თვით ქალაქ ქუთაისში, ვნახოთ რა სურათი გადაეშლება საზოგადოებას თვალწინ? ვნახოთ რა მასალას მოგვიტანს სოფლისა და ქალაქის არჩევნები მთავრობის პოზიციის შესაფასებლათ.

---

დღეს საეროპო არჩევნებია. მოქალაქენო, ხმა არ მისცეთ სოციალისტებს. **გახსოვდეთ სია № 2.**

---

## სოციალისტები და საქართველო.

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენებურმა სოციალისტებმა ეპიკურის კარვე დიემ დაისახეს იდეალად: სოციალიზმი დაავიწყდათ, რევოლუცია სალდათობის მასალად გახადეს, თავისუფლება მოახმარეს მინისტრობას და ჩინოვნიკობას,— შოვნის და ძიების... გზას დაადგენ.

დღეს საქართველოში [illegible] სოციალისტს [illegible] უკმაყოფილო იყოს თავის ბედით: მინისტრი თუ არა, კომისარი ხომ მაინც არის, სახაზინო ავტომობილებით თუ არ დაქანაობს, ეტლები მაინც ყოველთვის მზათ ყავს.

გუშინდელი ქუჩის მატანტალა დღეს საზოგადო მოღვაწის სახელით გამოდის და ქუჩის ლექსიკონიდან ამოღებულ სიტყვებს ქუჩურად ისვრის...

ბატონი: "მთავრობის" კაცი ბრძანდება და ვინ რას ეტყვის.

კურთხეული ქვეყანაა საქართველო: ძნელი მოსანახავია ისეთი კუთხე დედამიწის ზურგზედ, სადაც ულოღიკობას და თვითნებობას ჰქონდეს იმდენი ადგილი რამდენიც ჩვენში აქვს.

მართლა, უსამართლობა ქვეყანაში ყოველგან არსებობს, მაგრამ რაც საქართველოში ხდება, ის ხომ უსამართლობაზე მეტია, ის ხომ ბარბაროსობაა და მოთმინება ყოვლად შეუძლებელია.

ერი არსებობს და იბრძვის არა იმიტომ რომ ასაზრდოვოს და თავის ბატონად გახადოს რომელიმე ჯგუფი ან პარტია: ერი ემსახურება თავის თავს და კაცობრიობას. მთავრობა უნდა იყოს ერის მოსამსახურე და არა ერი მთავრობის: რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ მთავრობა უსამართლოდ იქცეოდა და ერს იმსახურებდა, იმ დროს, როდესაც თვითონ უნდა ყოფილიყო ერის მოსამსახურე.

ნუთუ სოციალისტები იმდენად გაბლაგდენ, რომ მათ ეძნელებათ დაინახონ როგორ მზადდება საქართველოში საშინელი ქარიშხალი, ნუ თუ ვერ ხედავენ ერის წყრომას და რისხვას.

---

**მოქალაქენო!** პროვოკაციამ, რომელსაც ეწევიან სოციალისტური პარტიები გავლენა არ იქონიოს თქვენზე. ისინი მუდამ ჟამს ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობას, ებრძვიან კერძო საკუთრებას. ამისთვის არ მისცეთ ხმა სიებს № 1 და 3

ხმა მიეცით სიას № 2.

---

# ეროვნული სული.

აღმოსავლეთში ყველაზე უფრო სასწაულებრივი ქართველ ერის ისტორიაა: ქართველი ტომები უძველეს დროიდან ცნობილი არიან აღმოსავლეთის ერთა შორის. ქართული კულტურა ძველად სახელგანთქმული იყო მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში.

მცირე აზიაში ქართველებს ეძახდენ ხეტელებს, მხოლოდ ხეტელები შეადგენდენ ქართველების ერთ ნაწილს, თითქმის იმავე დროს, რა დროს ეგვიპტურს წყაროებში ვხედავთ ქართველებს ხეტელებად დასახელებულს, საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროდოტე თავის ისტორიის მეორე წიგნში იხსენიებს ქართველებს „კოლხელების“ სახელით და ამბობს, რომ კოლხელები ეგვიპტელების ნათესავები არიანო. ასურულ-ებრაულს წყაროებშიც ქართველი ტომები-ტიბარენები და მესხები დასახელებულნი არიან.

მასთან ძველი ბერძნებიც—ჰელლინებიც კარგად იცნობდენ ქართველებს და ჰელლადის უძველესი კულტურა ჰელლინთა მითოლოგიაში ორგანიულად უახლოვდება საქართველოს და ქართველ ერის კულტურას. ჩვენ იმას ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი წარსული იმდენად შინაარსიანია და ღრმაა როგორც ჰელლინების მითოლოგია და წარსული, მაგრამ საყურადღებოდ მიგვაჩნია ის აზრი, რომ კაცობრიობის ისტორიაში ნათლად არის გამოხატული ჰელლადის და საქართველოს შორის კულტურული და ისტორიული კავშირი, კავშირი, რომელიც ახასიათებს ჩვენ მორალურ და ისტორიულ უფლებებს, შორეულ წარსულში.

ჰელლადამ თავის ეროვნულ სიბრძნის, შემოქმედების და სიყვარულის გამომხატველი გმირი პრომეთეოსი საქართველოს მიწა—წყალზე აალაპარაკა და აამოქმედა: პრომეთეოსის ფსიხოლოგია ჰელლადამ დაუპირდაპირა და შეუკავშირა საქართველოს წარსულს და დემონიურად დახეთქილ გეოგრაფიულ სინამდვილეს: ტყუილად არ ამბობს ნიცშე, რომ პრომეთეოსის სახე აღმოსავლეთის ერებმა ერთნაირად შეიყვარესო, ვინ იცის რომელია უფრო ორიგინალური—ქართველ ერის ამირანი, საქართველოს გმირთა წარსულის სახე, თუ ბერძნების პრომეთეოსი საქართველოში თითქო განგებ ჩამოყვანილი.

გარდა ამისა ჰელლინებმა შექმნეს კიდევ ერთი დიდათ საყურადღებო ისტორიულ—მითოლოგიურ კავშირი საბერძნეთისა და საქართველოს შორის: ეს არის არგონავტების და სამეგრელოს მეფის აეტის ამბავი, რომელიც თითქმის დღემდის მხოლოდ მითოლოგიურ ფაქტად იყო მიღებული და ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული იყო, მაგრამ დღეს ჩვენ იჭვნარევად მაინც ვიცით, რომ სამეგრელოს **ნოქალაქევი** ოდესღაც იყო აეტე მეფის სატახტო ქალაქი--**არხიპოლის**. შორს არ არის ის დრო, როდესაც მეცნიერება უფრო გარკვეულად იტყვის ამის შესახებ თავის სიტყვას და დაგვარწმუნებს იმაში, რომ მითოლოგია შეადგენს კაცობრიობის ისტორიის საყურადღებო ნაწილს: შორს არ არის ის დრო, როდესაც განათლებული კაცობრიობა დარწმუნდება, რომ აღმოსავლეთის უძველეს ხალხთა თქმულებებში და მითებში გამოხატული ფსიხოლოგიური ჭეშმარიტება ისტორიულად თუ არა ისტორიოლოგიურად მაინც სწორია და საყურადღებო.

დღეს ქართველი ერი ხელახლა იწყებს დამოუკიდებლად ცხოვრებას და ის ერები, რომლებიც ძველად იყვნენ ქართველ ერის მეზობლები დიდი ხანია გაჰქრენ და აღარ არსებობენ: ამიტომაც ვიმეორებთ აღმოსავლეთში ყველაზე უფრო მისტიურ სასწაულებრივი ქართველ ერის ისტორიაა: საუკუნეთა უთვალავი რიცხვი თავს დასცქერის საქართველოს ისტორიულ სახეს და საქართველო კი ხელახლა იწყებს ცხოვრებას და სახელმწიფოებრივ იდეის განსახიერებას. საქართველოს ისტორიას თითქო მარადიული ხასიათი აქვს და მარადისობის იდეა ქართველ ერის იდეაა. ჩვენი ერი თითქო შეეჩვია ცხოვრების უკუღმართობას ისტორიის მუხანათობას და ბედის უპრინციპობას: საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულია ქართველის ტიპი და ის, რასაც დღეს ვხედავთ საქართველოში და ქართველის სახეში, არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიულ ორგანიულ და ეროვნულ—ტერიტორიული ცვლილების, შეთვისების, შეგუების და შეგრძნობის.

ერის სახე ერის წარსულის სარკეა—სარკე სადაც მოსჩანს ისტორიის საუკუნეთა ნაკვთები—ეროვნულ თავისებურობის უმთავრესი თვისებები. ერი ფსიხოლოგიური მცნებაა და არა რასიული: რასა ისტორიის ზოოლოგიური პრინციპია და ღებულობს ერის სახეს. მხოლოდ ისტორიაში. რომელიმე რასის თემი განსაკუთრებულ მიწა—წყალზე დაბინავებული მით უფრო ჩქარა გახდება ერი, რაც მეტ ბრძოლას და ისტორიულ ცვლილებებს გამოიარს.

მხოლოდ ისტორიულ ცვლილებებში ირკვევა ერის შემოქმედებითი პოტენციალობა, ირკვევა ეროვნული ინდივიდუალობის შინაარსი, ხასიათი, ორიგინალობა და თავისებურობა.

საქართველოს ისტორიულ-ფსიხოლოგიური სახე საკმაოდ გამორკვეულია: ამ სახეზეა დასმული ბრძოლის ბეჭედი წარმართობის ცეცხლში გატარებული. ბრძოლა საქართველოს ისტორიული თვისებაა და ქართველი ერის სულიერი დრამა დღესაც გვიმტკიცებს ამას: საქართველოში განყენებულ მსჯელობას დრო დადგენილი არ ჰქონდა: სამღვდელოება თვითონ ღებულობდა მონაწილეობას ბრძოლაში და ჩვენ ვიცით არა ერთი შემთხვევა, ისტორიაში როდესაც ქართველი ეპისკოპოსი გამოდიოდა შეიარაღებული და მოელვარე ხმლით ხელში იცავდა სამშობლოს თავგანწირულად.

რელიგიას საქართველოში ჰქონდა თითქმის ესთეტიური და პოეტური ხასიათი: ჩვენი ერი მწვალებლობას არ იცნობს სწორედ იმიტომ, რომ მას სრულებით არ ეცალა განყენებულ მსჯელობისათვის, და როდესაც მწვალებლობა შემოიჭრა ჰერეთში ქართველი ერი სრულებით გულგრილად შეხვდა მას: ქართველის სული იმდენად მთლიანია ისტორიულად, რომ მწვალებლობა, როგორც ლოგიური აჯანყება რელიგიაში, გაუგებარია მისთვის.

ქართველი ბუნებით წარმართია და პანტეისტი, ქართველი ორგანიულად პოეტია და მგოსანი: საუკუნეთა მდელვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო.

## უკანასკნელი ცნობები.

**ტყვეები გერმანეთიდან.**

როგორც გუშინდელი ჩვენი გაზეთის დღიურში ვსწერდით, გერმანეთიდან დაბრუნდა 200 ტყვე ჯარის კაცი. მათ შორის 58 ოფიცერია და ერთი გენრალი.

ჩვენი ტყვე ოფიცრები და ჯარის კაცები ყველანი თფილისში წაიყვანეს საიდანაც ისინი თავიანთ სახლებს დაუბრუნდებიან. გერმანიის მთავრობას აღუთქვამს, რომ ახლო მომავალში კიდევ გამოვგზავნით 500 ტყვეს, სულ იქ ითვლება 10000 ქართველი ტყვე.

**საზავო მოლაპარაკება.**

როგორც საზავო დელეგაციის წევრმა ე. გეგეჭკორმა განაცხადა, რომელიც ეხლახან გერმანეთიდან დაბრუნდა სტამბოლის საზავო მოლაპარაკება სხვადასხვა დროისათვის გადიდო. გერმანეთში ჩვენს დელეგაციას ადგილობრივი პრესა და საზოგადოება დიდის ყურადღებითა და პატივისცემით შეხვდა.

**საქართველოს დამოუკიდებლობა.**

გერმანელ სოციალისტებს საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მოსწონს. გერმანეთის მთავრობა დარწმუნებული ყოფილა, რომ ახალ ციხის და ახალ ქალაქის მაზრები და ბათომის ოლქი მომავალში აუცილებლად საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში უნდა შევიდეს.

გერმანეთის მთავრობამ ჩვენ დელეგაციას აღუთქვა სურსათის და საქარხნო ნაწარმოების შემოზიდვა და აგრეთვე რეგულიარული ჯარის შესაქმნელად ინსტრუკტორების გამოგზავნა.

**სად იმყოფებიან ჩვენი დელეგაციის წევრები?**

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ამ ჟამად სხვადასხვა სახელმწიფოებში იმყოფებიან. **ბერლინში** არიან: ნიკო ნიკოლაძე, ავალიშვილი და ა. ჩხენკელი, **სტამბოლში**—გიორგი გვაზავა და **ბულგარეთში** რცხილაძე.

## რკინის გზის გარშემო.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა საყურადღებოთ.

რკინის გზის უმთავრეს კომიტეტმა აგვისტოს 3 შემდეგი დეპეშა გაგზავნა საქართველოს გზის ყველა ლიანდაგზე:

წარსულ ივლისის 28 რიცხვს თბილისის ქართულ კლუბის შენობაში გაიმართა კრება ეგრეთწოდებული რკინის გზის ქართველ მოსამსახურეების კავშირისა, რომელ კრებაზედაც ალაგი ქონდა უმთავრეს კომიტეტის საწინააღმდეგო გამოსვლას და საერთოდ ამ კრებამ დაიჭირა კომიტეტის საწინააღმდეგო პოზიცია.

ამ შემთხვევას კომიტეტი ხსნის იმით, რომ ზემო აღნიშნულ კრებაზე უმეტესი ნაწილი იყო იმ მოსამსახურეებისა, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებით შტატს გარეშე დარჩნენ, მაგრამ, მაინც შემჩნეული იყო, რომ კრებას დაესწრენ და ამ ახალ კავშირში ჩაწერილან ბევრი წევრი რკინის გზის კავშირისა, რაც ეწინააღმდეგება წესდებას.

რადგან ყველა რკინის გზის მოსამსახურეთათვის, განურჩევლათ ეროვნებისა, არსებობს ერთი საერთო კავშირი, რომლის წევრათ ირიცხებიან ყველა მოსამსახურე და რომლის აღმასრულებელი ორგანოთ ითვლება უმთავრესი რკინის გზის კომიტეტი, არ შეიძლება იყოს დაშვებული, რომ ერთ და იმავე პირმა მონაწილეობა მიიღოს ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე კავშირში, რისთვისაც „ახალი კავშირის" წევრები გამორიცხული უნდა იქმნან ჩვენი კავშირისგან, რითაც კარგავენ უფლებას გზის სამსახურზედაც.

მაგრამ, ვღებულობთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უმეტესი ნაწილი მოსამსახურეებისა შეიძლება შეყვანილნი იყვნენ შეცდომაში „ახალი კავშირის" აგენტებისაგან, წინადადება ეძლევა ყველამ „ახალ კავშირში", ჩაწერილ მოსამსახურეებს ერთი კვირის განმავლობაში გამოიწერონ იქიდან და განუცხადონ ამის შესახებ ადგილობრივ კომიტეტს, წინაამდეგ შემთხვევაში მათზე იქნება გავრცელებული ზემო აღნიშნული სასჯელი.

# უცხოეთი.

## რუსეთი.

უკანასკნელი ცნობები რედაქციის მიერ მიღებული გაზეთებიდან. ომსკის მთავრობა

გაზ. „ნაშ ვეკის" გადმოცემით სახალხო საბჭოსთან არსებული ბეჭვდითი ბიურო იტყობინება, რომ ომსკში მენშევიკებმა და მემარჯვენე სოც. რევოლუციონერებმა დროებითი მთავრობის შემადგენლობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლები მოიწვიეს. მოწვეულ იქმნა ვაჭრობა მრეწველობისა და ფაბრიკანტების კონფერენცია. კონფერენციამ მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა, რომ გამოეცხადებიათ დიქტატურა და იმ შემთხვევაში თავის წარმომადგენლები მისცემდენ. მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა ულტიმატუმი მიიღეს. ბურჟუაზიამ თავისი 5 წარმომადგენელი უკვე წარმოადგინეს. მათ შორის გენერლებიც იმყოფება. როდესაც მთავრობას სათავეში გენერლები ჩაუდგა სოციალდემოკრატებსა და მემარჯვენე ესერებს წინადადება მისცეს, რომ მთავრობა დაეტოვებიათ, რადგანაც მთავრობა უნდა იყოს ერთი კაცის ხელში.

**კერენსკის შესახებ.**

ლონდონიდან ახლად დაბრუნებულმა პირმა, რომელსაც დიდი დამოკიდებულება აქვს ინგლისის პოლიტიკურ წრეებში გადმოგვცა, რომ კერენსკის წასვლას ევროპაში არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მას უარყოფით უცქერენ. ასე უცქერენ დროებითი მთავრობის სხვა წევრებსაც. მაგალითად როდესაც მაკლაკოვს უნდოდა ლონდონში შესვლა, იგი ნებართვის აღებას 3 კვირას მოუნდა. "ნ. ვ."

**რუსეთ-ფინეთის კონფერენცია.**

მომავალ კვირაში ბერლინში გაიხსნება რუსეთ-ფინეთის სამშვიდობო კონფერენციის სხდომები. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ კონფერენციის ადგილად ქ. რეველი დაენიშნათ, რაზედაც ფინეთის მთავრობა დათანხმდა. გერმანიის წინადადებით კი კონფერენციის ადგილათ ისევ ბერლინი დაინიშნა. რუსეთის დელეგაციის თავში სდგას იოფფე. "ნ. ვ."

პეტროგრადში გერმანეთის ცენტრალურ კონსულად ბირმანის ნაცვლად დაინიშნა ბრეიტერი.

---

მოქალაქენო! ვისაც გინდათ მოისპოს ანარქია და სამოქალაქო ომი ხმა მიეცით ეროვნ. დემოკრატების სიას № 2.

---

## კავკასი.

უკანასკნელი ცნობების თანახმად ყაზახებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქის ცენტრალური ნაწილები. ყაზახებმა ბოლშევიკები ქალაქის განაპირა ქუჩებშიდაც შეავიწროვეს. ბოლშევიკები ყაზახებს წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ მათი მდგომარეობა კრიტიკულია. ყაზახების ძალა ძლიერდება.

---

## ჩვენი პარტიის ახალგაზდობას

ვთხოვთ, არ დაივიწყონ რომ დღეს საერობო არჩევნებია. დღეს ყველა ვალდებულია გამოვიდეს ქუჩებში, დადგენ იმ ადგილებში სადაც ყუთები სდგას და თვალი ადევნონ რომ რომელიმე პარტიის აგენტებმა უწესოება და ძალდატანება არ ჩაიდინოს.

---

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**ამომრჩეველთა საყურადღებოდ.** ქალაქ ქუთაისში საერობო არჩევნების კომისია აუწყებს ამომრჩევლებს, რომ არჩევნები მოხდება 18 აგვისტოს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, შემდეგ ადგილებში: 1) ცენტრალურ უბნის მცხოვრებთათვის: 1. ქალაქის გამგეობის დარბაზში 2. ეპარქიალური სასწავლებლის დარბაზში (ბალახვანის ქუჩაზე) და 3. მესამე გიმნაზიის (ყოფილი სასულიერო სასწავლებელი) დარბაზში არქიელის გორაზე. 2) სამთო უბნის მცხოვრებთათვის: 1. რეალურ სასწავლებლის დარბაზში 2. ქვედა საფიჩხიის სამრევლო სკოლის დარბაზში, 3. ზედა საფიჩხიის სამინისტრო სკოლის დარბაზში და 4. ოლქის სასამართლოს დარბაზში 3. წყალგაღმა უბნის მცხოვრებთათვის: 1. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში 2. იაგორ კეპულაძეს სავაჭროში (მესხეთის ქუჩის მოედანზე და 3. იოსებ გიორგაძის სახლში (ტრპირის ქუჩაზე, ძველ ხონის შარასთან).

**ქუთაისის ქალაქის საერობო საარჩევნო კომისია.**

**მოქალაქენო** ჩაუკვირდით მდგომარეობას. დღეს თქვენ უნდა წარსდგეთ ყუთებთან და ხმა უნდა მისცეთ რომელიმე პარტიის კანდიდატთა სიას. გაითვალისწინეთ თვითეული პარტიის მოქმედება, გაითვალისწინეთ სოციალისტების თაღლითობა, ცარიელი სიტყვები და მოტყუილება და ისე მოიქეცით. გახსოვდეთ რომ არცერთი ხმა არ მისცეთ სოციალისტურ პარტიებს. ეს ის პარტიებია, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ანარქიას, ძმა ძმას მიუსიეს და სამოქალაქო ომი გააჩაღეს. სოციალისტები მხოლოდ დაპირებებით კვებავენ ხალხს. მათი დაპირებანი კი თქვენც იხილეთ, როგორ ხორციელდება, მაშ არც ერთი ხმა სოციალისტებს. ზურგი აქციეთ მათ, როგორც ეს მოხდა ქ. ქ. ფოთში და ახალ-სენაკში და ხმა მიეცით მხოლოდ ეროვნულ დემოკრატების საარჩევნო სიას № 2.

---

რებამ ქართველის ბუნება ააცახცახა და ქართველი სულით ეროსია, გულით შეყვარებულია.

ქართველმა ერმა არ იცის პესიმიზმის საშინელება, ქართველი ტრაგედიას აძლევს ლოცვის და ქლეგიის ხასიათს: ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება საუკეთესო დამამტკიცებელია ამის. სული განმარტოებული, სული ობოლი უარჰყოფს წუთი-სოფელს, სატრფოს კოცნას, უარჰყოფს სამშობლოს საზოგადოებას, ნათესაობას—ერთი სიტყვით განიცდის მთელ ტრაგედიას, მაგრამ მაინც სიყვარულით ალსავსე სულ იმაზე ფიქრობს, რომ სამშობლოს, ქართველ ერს სიძნელე ცხოვრების გაუადვილოს და გზა მერანის მიერ თელილი თავისუფალი დაუტოვოს მომავალ თაობას.

ამაში გამოიხატება გულის სითბო და ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული: შოპენჰაუერის, ბაირონის, ლეოპარდის და ობერმანის შემოქმედებაში თქვენ ვერ ნახავთ ასეთ სიყვარულს ადამიანის და კაცობრიობისადმი. მართალია იქ—ევროპაში შემოქმედების ცეცხლი უფრო დიდია და შადრევანი უფრო მაღლა სჩქეფს, მაგრამ სიყვარული და გულის ადამიანური სითბო იქ არსად ჩანს: წყევლა-კრულვა კი არის, მაგრამ თანაგრძნობას კი ვერსად ნახავთ.

ჩვენში უკიდურესი პესიმისტი კაცთმოყვარე და ოპტიმისტია, რადგან ორგანიულად შეყვარებულია წინაპართა განცდით იგი შეერთებულია ცხოვრებასთან და თვით ცხოვრების უკუღმართობას იგი ურიგდება, ცხოვრების სიცივეს იგი თავის სიყვარულით ორგანიულ სითბოთი ათბობს.

ქართველი ისტორიულად მიჯნურია და შეყვარებული.

სწორედ ამიტომ ქალის იდეალიზაცია არსად ისეთი ფართე და ცეცხლეული არ ყოფილა როგორც საქართველოში და არსად ქალი არ ყოფილა მამაკაცის ოცნებით ისე გამშვენებული და ღვთაებრივად გაცისკროვნებული, როგორც ჩვენში.

ბრძოლაში ადამიანი გრძნობს ნათლად ცხოვრების წარმავალობას და ეს გრძნობა წარმავლობის ყოველთვის იწვევს ადამიანში ქალის და სქესობრივი დამოკიდებულების გაღმერთების სურვილს: საშუალო საუკუნოებში რაინდობის იდეალი სწორედ ამ ფსიხოლოგიაზე იყო აშენებული და დამყარებული. საშუალო საუკუნოებში ინდივიდუალობა იყო უნუგეშო მდგომარეობაში: სახელმწიფოს არ ჰქონდა ძალა ინდივიდუმის დაცვის, საზოგადო ცხოვრება არ იყო დაკანონებული, იყო ინტრიგებით სავსე, ადამიანი გრძნობდა მარტოობას და ობლობას: ყოველდღიური ცხოვრება იყო მხოლოდ ბრძოლა და თავდაცვა, არავინ იცოდა თუ რა მოელოდა მას ხვალ და ამიტომაც ადამიანი ცხოვრებას უყურებდა როგორც რელიგიურ ესთეტიურ ფენომენს: ერთი მხრით რელიგია, მეორე მხრით მშვენიერების იდეალი აი რით ინუგეშებდა თავს ადამიანი.

ამიტომ საკვირველია ის სტილი შემოქმედების, რომელიც ახასიათებს საშუალო საუკუნოებს, როგორც ჩვენში ისე ევროპაში: ტაძრები მთებზე აშენებული, უზარმაზარი ციხე-კოშკები, საშინელი და ფანტასტიურ ხასიათის გამოქვაბულები; მასთან მიჯნურობა და ქალის გამშვენიერების სურვილი—მარადიული ქალურობის იდეალის ღრმა გამოხატვა-აი ამ სტილის თვისებები.

აქ ადამიანს თითქო სურს განამტკიცოს თავის ინდივიდუალობა საზღვარ აცილებულ ოცნებაში—მარადიულ ქალურობის განმტკიცებაში. ბეატრიჩე შესანიშნავი მაგალითია ქალის გაღმერთებისა ევროპაში. მაგრამ ჩვენში ქალი უფრო გამშვენებულია მამაკაცის ოცნებით და უფრო გაღმერთებულია ვიდრე ევროპაში: ქართველმა ერმა არც კი იცის, რომ დავით აღმაშენებელმა შექმნა საქართველოს ისტორიული სახე, სამაგიეროდ ქართველ ერს თამარ მეფის სახელი ენაზე აკერია, თუმცა თამარ მეფეს იმის მეათედი არ გაუკეთებია, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსთვის. აქედან ჩვენ ვხედავთ თუ როგორ გაალმერთა ქართველმა ერმა ქალი და რა დიდი ადგილი უკავია ეროტიულ-ესთეტიურ გრძნობას ქართველი ერის ისტორიაში.

ქართველი ერი სულით მიჯნურია და რაინდია: ამიტომ ქართველისათვის ქალს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა—მნიშვნელობა რელიგიური და ესთეტიური: საქართველოს ისტორია მარადიული ტრფიალების და ქალურობის ისტორიაა; საქართველო ესთეტიურ რელიგიურ ფენომენია და ამიტომაც არსად იმდენი მუხანათობა არ ყოფილა როგორც საქართველოში და არსად მამულისათვის ისეთი თავგანწირული ბრძოლა არ ყოფილა როგორც ჩვენში: ხან სიძულვილი, ხან სიყვარული—აი ესთეტების უმთავრესი ატრიბუტი და ქართველი ერიც ატრიბუტს იღებს ისტორიულად.

ქ. კაპანელი—ჭანტურაია.

✦ **ოზურგეთის სამაზრო საერობო საარჩევნო კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები მოხდება კვირას, 18 მარიობისთვეს. მაზრა დაყოფილია სამ საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის. საარჩევნო ყუთები იდგმება ყველა საზოგადოებაში, საარჩევნო კომიტეტი მოუწოდებს ამრჩევლებს. უკლებლათ გამოცხადდენ საარჩევნო ყუთებთან და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. თავმჯდომარე ლლონტი, მდივანი საბაშვილი.

✦ **ლეჩხუმში** ჩვენმა ჯარმა აილო სოფელი მექვენა. სხვა ფრონტებზე ცვილება არ მომხდარა.

✦ **გერმანელი ჯარი.** ფოთში ჩამოვიდა გერმანელთა 200 ჯარის კაცი.

✦ ნავთის აღმოჩენა. როგორც გადმოგვცეს სოფელ ტყაჩირში (ქუთაისის მაზრა) ნავთი აღმოჩენილა. საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და ნავთს დაამუშავებდეს.

✦ არჩევნები სენაკის მაზრაში. სენაკის მაზრაში „ბოლშევიკთა" ბრბოების აჯანყებისა და გამოსვლების გამო არჩევნები ცუდათ ჩატარდა არჩევნები წესიერად მხოლოდ ფოთში და ახალსენაკში მოხდა. ბევრ სოფლებში არჩევნები სულ არ მომხდარა. და სადაც მოხდა იქაც ყველა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობა **ვერ მიიღეს.**

✦ გერმანელი ჯარი ახალსენაკში. ქ. ახალსენაკში ამ ჟამად იმყოფება 100 მდე გერმანელი ჯარის კაცი. ჯერჯერობით ისინი ბოლშევიკებთან ბრძოლაში მონაწილეობას ვერ ღებულობენ.

✦ **დღიურისა და ერთდროული დახმარების შესახებ.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად ამ მოკლე დროში გაიხსნება კრედიტი სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის დღიურებისა და ერთდროულ დახმარების სრულიად გასასტუმრებლად.

✦ **სისხლისსამართლის მილიციის უფროსის** წინადადების დანახმად გუბერნიის კომისარმა ერთი თვის ციხეში ჯდომა მიუსაჯა ვლადიმერ პატარიძეს.

✦ **ხოლერა.** მიმწოდებელი კომიტეტის საწყობში ხოლერით ავათ გახდა 8 მომუშავე. ამისთვის სანიტარული ექიმის განკარგულებით დაკეტა ყველა საწყობები.

✦ **სოდა.** სასურსათო სამინისტრომ აცნობა თავის რწმუნებულს გრიგოლიას რომ მან სოდის რევიზიცია მოახდინოს.

---

მოქალაქენო! ვისაც გინდათ მოისპოს ანარქია და სამოქალაქო ომი ხმა მიეცით ეროვნ.-დემოკრატების სიას № 2.

---

## † გაბო ოთხმეზური

მუდამ მომქმედი, მუდამ მოუსვენარი, მუდამ ჩვენს ახალგაზრდათა წრეში მტრიალი და ყოველივე დაკისრებული საქმის პირნათლად ამსრულებელი გაბო საქართველოს საზღვრებში შემოსულმა ყაჩაღ ბოლშევიკთა ბანდამ სიცოცხლეს გამოასალმეს, ასეთი სამწუხარო წინადადებით ემცნო ეროვნულ დემოკრატიულ სტუდენტთა წრეს რამოდენიმე ამხანაგის მიერ ეს გულის მომკვლელი ამბავი.

გაბო და კუბო...

გაბო და სიკვდილი...

რა გულის მომკვლელია ეს სიტყვები!

ჩვენ ახალგაზრდათა წრეს ერთი პატარა მუშაკი მოუკლეს. ჩვენი საქმიანობა ერთი კაცით შეაფერხეს. ღირსეულ სამშობლოს დარაჯებს ერთი მცველი გამოსტაცეს.

ჯერ კიდევ ოქტომბრის გამოსვლის ხანებში, მოსკოვში გაბო ყველაფრის მიტოვებას და სამშობლოსკენ წამოსვლას დაჟინებით მოითხოვდა. მისი ცოცხალი სული, დაუდგომელი არსება აქეთ ჩამოსვლას და სამშობლო ქვეყნისათვის საჭირო საქმისათვის კეთებას ლამობდა.

ეს განზრახვა პირადათ მან მაშინვე მოიყვანა სისრულეში და როცა დაიშალა ის ძალა, რომლის ასე თუ ისე აკავებდა ოსმალო ურდოებს როცა ჩვენი მტრების ბანაკები ამით არ დაკმაყოფილდა და ოსმალებს ბოლშევიკები მიემალა, გაბო, როგორც რაინდი მთელი თავის არსებით ჩაეწერა ჩვენს მეომართა რიცხვში და დღემდი ღირსეულად ასრულებდა ქართველ მეომრის მოვალეობას.

მუხანათმა ბედმა არ დაალალა თავისი სურვილებს თვისი ბოლომდე დაცულა და ენახა თავის ქვეყნის სახელმწიფოებრივი სახე, მაგრამ ჩვენ ღრმადა გვწამს ის იდეა რომელსაც ამ შემთხვევაში გაბო ემსახურებოდა, გაიმარჯვებს და იმ ძეგლზე, რომელიც თავისუფალ საქართველოში აღიმართება ბრძოლის ველზე დაცემულ ქართველ მეომართათვის „გაბო ოთხმეზურიც" აღინიშნება.

**ამხანაგი.**

---

## „ბლოკი" „მუშაობს".

ერთ ფედერალისტს, ერთ კერძო საუბარში დაახლოვებით შემდეგი უთქვამს: „იმისთვის, რომ გაიმარჯვო და შენი გაიტანო პოლიტიკურ ბრძოლაში, არავითარ საშუალებას არ უნდა მოერიდო". ფედერალისტის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებს დღევანდელ საერობო არჩევნებში გამოსული „ბლოკი" არა თუ ანხორციელებს, არამედ თამამად შეიძლება ითქვას აჭარბებს კიდეც.

უკვე დიდი ხანია ეს ჩვენი ცხოვრების ანარეკლი ხალხი ჩვენ წინააღმდეგ უსირცხვილო კომპანიას ეწევა. კარგა ხანია მათი გაზეთის ფურცლები ჩვენ წინააღმდეგ ათას გვარი უმსგავსო ცილისწამებით ივსება. საკმაო ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი სოციალისტები თავიანთ საგუბერნიო კომიტეტთა ორგანოს ფურცლებზე მხოლოდ ჩვენს მოღალატეობას და კონტრრევოლუციონერობას „ამტკიცებენ" მათ დიდი ხანია დაკარგეს ყოველივე პატივისცემა მოწინააღმდეგისადმი. მათ უარყვეს ყოველგვარი მოთხოვნილებები ბეჭდვითი სიტყვისა და გაკოტრებულნი ქუჩური გამოსვლებით გვიმანსპინძლდებიან. ქართველი მოქალაქე უკვე საკმაო დროა მათ მიერ ჩვენ შესახებ შეთხზულ "დანოსებს" ისმენს.

მაგრამ ჩვენი ბოლშევიკების ბნელი მოქმედებები მარტო ამით არ განისაზღვრება. ისინი სხვა და სხვანაირი საარჩევნო მახინაციებით აგვირგვინებენ ზემო ჩამოთვლილ გამოსვლებს. ისინი სხვა და სხვა კომისიებში „მოქმედებით" ბიულეტენების თუ მოწოდებათა „დარიგებით", ნომრების გამჭვირვალე ქაღალდზე ბეჭდვით (რომ უფრო კარგა შეხედონ ფურცლის ნაკეციდან გამომჭვრეტ პირველ ნომერს) სცდილობენ კვლავ ფონს გასვლას და შემდეგ კი ცნობილ „საქმიანობის" გაწევას. დაწვრილმანებულ ხალხს მხოლოდ ის ღა შერჩენიათ, რომ „დაცდილი" მახინაციებით კვლავ საჭირო საქმეები ხელთ იგდონ და ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით კვლავ განაგრძონ. მათი შიკრიკები ეზოეზო დარბიან, მცხოვრებთ პირველ ნომერს ურიგებენ და ეუბნებიან ეს მთავრობის ნომერია, უსათუოთ ამას უნდა მისცეთ ხმაო. მათი დამქაშები თხელ თხელ ქაღალდზე ნაბეჭდ პირველ ნომერს არიგებენ, რომ იქნებ გაკეცილი ქაღალდიდანაც კარგად მოსჩანდეს პირველი ნომერი და მით მათმა მახინაციამ ფრთა გაშალოს.

მაგრამ ქართველი მოქალაქე, ეროვნული დემოკრატია უკვე კარგახანია სულსა ღაფავს მის ინტერესებისათვის „სამსახურში დაცდილ" ხალხის მართვა გამგეობის დროს. ბლოკის ხალხმა, სოციალისტებმა ჩვენი ცხოვრების ცოტაოდენ მოწესრიგებაშიც კი ვერავითარი უნარი ვერ გამოიჩინა. „დაცდილმა" ხალხმა თავისი „დაცდილი" სახე საკმაოთ გამოიჩინა. ქართველმა ხალხმა ამ ბოლშევიკებს გზა უნდა აუხვიოს. საქართველოში მათს მოქმედებას წერტილი უნდა დაუსვას ქართველის ხმა დღესეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს არ უნდა ასცდეს. საქმიან ნომერს, ორ ნომერს — № 2 ქართველის ხმა ზურგი უნდა ვაუმაგროს. სოციალისტების „დაცადა" საკმაოთ. ეს გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ხმა ეროვნულ-დემოკრატების სიას ნომერ ორს — № 2 უნდა მიეცეს.

**ო.**

---

## ოფიცრების შესახებ.

117 წლის მონობის შემდეგ ქართველებმა დამოუკიდებლად ცხოვრება დაიწყეს. საქართველოს რესპუბლიკას დასჭირდა ჯარი, რომელიც კიდევაც ყავს. ამ ჯარს შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი მოვალეობა როგორც მამულიშვილს და ჯარის კაცი უნდა იყოს გამსჭვალული ეროვნული გრძნობით. ასეთი ჯარის შექმნისთვის საჭიროა რომ ყავდეს ჯარს ნამდვილი გამოცდილი ხელმძღვანელები. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამას არ აქცევენ ყურადღებას არც მთავრობა და არც პოლკების უფროსები. ისინი ნიშნავენ ოფიცრებს თავის სურვილისამებრ და არ აქცევენ ყურადღებას არც განათლების ცენზს და არც მის სამხედრო ხელოვნების ცოდნას. ზოგიერთი პოლკების უფროსები ისე მოიქცევ როგორც მათ სურდათ და პროტექციის წყალობით დარჩენ შტატში ისეთი ოფიცრები, მეჩექმეები, „პრიკაშჩიკები" დუქნის მუშებიც იყვნენ. ასეთს ოფიცრებს ხალხი სხვანაირად უყურებს და ამბობენ რომ საქართველოს უკეთესი ოფიცრები ალბად არ ყოლიაო. ამათი გაწვრთნილი ჯარის კაცი რა იქნებაო.

გარდა ამისა შტატში ისეთი ოფიცრებიც დარჩენ რომელთაც ქართულისა არ გაეგებათ რა. და ამის შემდეგ იმათმა როგორ უნდა გაწვრთნან ჯარის კაცები როდესაც ორ სიტყვას დალაგებით ერთი მეორეზე ვერ გადააბამს. მაგრამ შეცდომის გასწორება უნდა. მთავრობამ კვლავ უნდა გახსნას სამხედრო სასწავლებელი, სადაც სამსახურში მყოფ ოფიცრობას უნდა შეასწავლონ ჯერ დედა ენა და შემდეგ სამხედრო ხელოვნება. გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო მინისტრმა და შესაფერი ნაბიჯი გადადგას. თორემ საქმე წაია მარა „პროტექციონიზმითი" არ გამოგვადგება, რასაც ამ ბოლო ხანებში ფართო ხასიათი მიეცა.

სამხედრო საქმე მცოდნე და გამოცდილ პირებს მოითხოვს და ჩვენი მთავრობაც უნდა ეცადოს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ნორჩ სახელმწიფოს ჰყავდეს ღირსეული მეომრები და არა ისეთები რომელნიც სახელს გაუტეხს სამშობლოს და მასთან მთელ მხედრობას.

**მეომარი.**

---

დღეს საერობო არჩევნებია. მოქალაქენო ხმა არ მისცეთ სოციალისტებს. გახსოვდეთ სია № 2.

---

## კურსები საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

(თბილისიდან).

ორი კვირა გადის რაც კურსები საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის მწყობრად, საქმიანად და მიზან შეწონილათ სწარმოებს, რაც, ჩვენის ფიქრით, მიეწერება ბ. ლექტორთა საგნების ღრმა ცოდნას, დაკვირვებას და ყოველ მხრივ გაშუქებას. მსმენელნიც, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს კმაყოფილნი არიან ასეთი, მათთვის დიდათ საინტერესო საქმის რიგიანად დაყენებით და სიამოვნებით უსმენენ მოსაუბრეთ. 10 მარიობისთვეს ბ. ახვლედიანმა დაასრულა თვისი, მართლაც შინაარსიანი და ყველასათვის გამოსადეგი ლექციათა, კურსი — ენათა მეცნიერება და დასასრულ გამოთქვა მადლობა მსმენელთა წინაშე ყურადღებობისა და იმ შეკითხვების გამო, რომელთა მეოხებით იგი ბევრს რამეს იძენს ისეთს, რაც დღემდის უცნობი და ხელუხლებელი იყო.

კურსისტებმა ლექტორი ბ. ახვლედიანი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ამ კვირაში განაგრძობენ ლექციების კითხვას [illegible] პირველ [illegible] მწერლობა და პრაქტიკულ [illegible] ფსიქოლოგიაზე [illegible] ამავე დროს [illegible] ოთხ ლექციას წაიკითხავს არქეოლოგიიდან ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, შემდეგისთვის მოწვეული იქნება ახალი მწერლობის და ისტორიისათვის სხვა ლექტორი.

მსმენელთა შორის შესდგა ჯგუფი, რომელიც საღამოობით ამუშავებს მათემატიკის ტერმინოლოგიას. 10 15 მსმენელნი დადიან მუზეუმში ისტორიულ, ეთნოგრაფიული სელექციების დასათვალიერებლად. განზრახულია ლექციების დასასრულ (თუმცა მანამდისაც უნდოდათ) — გაიმართოს ექსკურსია თელავის და სიღნაღისკენ ამ საუკეთესო კუთხეების დასავლელად და შესასწავლად.

როგორც საუბრის მიმდინარეობიდან დაჩანს გვგონია ლექციები ამ მარიამობისთვეს აღარ გადაცილდეს, ეს მით უფრო საჭიროა რომ აუტანელი სიცხეებია თბილისში ჯერ ერთი და მეორეც, მიუცილებლად მასწავლებლებმა უნდა შეისვენონ, მოიკრიბონ ძალა და ისე შეუდგენ სწავლების დაწყებას, თუ ასე არ იქნა, მოღლილ მოქანცული პედაგოგი ვერას გახდება.

**კ. გრძელი.**

---

## რუსეთიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ.

რუსეთის ქალაქებიდან ახლად ჩამოსულთ უმორჩილესად ვსთხოვთ ამბების გადმოსაცემად ჩვენს რედაქციაში შემოიარონ.

მათ ვსთხოვთ აგრეთვე, რომ რუსეთიდან წამოღებული გაზეთები ჩვენს რედაქციას გადმოსცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევსწირავთ.

**რედაქცია.**

---

### წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ, ამ განცხადებას მისცეთ ადგილი თქვენი გაზეთის ფურცლებზე და ამით საშვალება მომცეთ ერთი დავალება შევასრულო. ახალგაზდა პუბლიცისტის ნიკოლოზ ჯორჯიკიას, დასაფლავების დღეს ბ. ილარიონ ბოლქვაძემ გადმოგვცა 50 მ. განსვენებულის ხსოვნის რომელიმე დაწესებულებაში აღსანიშნავათ. ჩვენ ეს ფული გადავგზავნეთ თბილისში ახლათ დაარსებულ „საფილოსოფიო და პსიხოლოგიის" საზოგადოებაში, რომლის წევრათ განსვენებული იყო არჩეული.

პატივსცემით **ჯ. ჯორჯიკია.**

---

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

---


კბილის ექიმები

**მ. ი. ახვლედიანი** და **ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს. — 2 ს და საღამოს 5 ს. — 7 .. მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

---

ექიმი

**გ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ს.

---

**საშინაო სასადილო**

ძროხის ერბოთი შემზადებული 2 ბლუდიდან 6 მანათი. 2 საათიდან 4 საათამდის. მისამართი: მესამე — 3 — ალექსანდროვის ქუჩა სახლი № 36 ბულეიშვილის დუქნის ახლოს. 2—1.


სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.